სოფო ჩხიკვაძე დაიბადა 1972წ.-ს საქართველოში, თბილისში. ნიკოლაძის სამხატვრო კოლეჯის დამთავრების შემდგომ, პროფესიული განათლება და მაგისტრის წოდება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს. მისი ნამუშევრები გამოირჩევა უნიკალური ხელწერით, გარკვეულწილად ნაივური სტილით, რომელიც პირდაპირ ემოციურ გავლენას ახდენს მნახველზე. სოფოს ტილოები უმეტესწილად პორტეტულ ჟანრში გამოსახავს ირონიულ, კომიკურ დეფორმაციას და „რუბენსისეულ“ სახასიათო მანერას.
სოფო ჩხიკვაძე ძირითადად ფერწერაში მუშაობს. მისი ნამუშევრები რეალური ცხოვრებიდან ან ფილმებიდან ამოჭრილ, გაშეშებულ კადრებს გავს. ზოგჯერ მისი პერსონაჟები უკაცრიელი ლანდშაფტის, უკიდეგანო მინდვრების ან ზღვის ფონზე არიან წარმოდგენილი, რასაც ერთგვარი მისტიკა, სიურეალისტური განწყობა შემოაქვს სურათში. ჩხიკვაძის ნამუშევრებში ზოგჯერ ფიგურირებს ნიშნები, სიმბოლოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სურათის ინტერპრეტაციისას... (Project ART BEAT)
სოფოს ნამუშევრები დაცულია მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მონტანელის მუზეუმში და კერძო კოლექციებში ევროპის მასშტაბით.